- საპროექტო კაბელი
- საპროექტო ქურო

			1-2
			ქ. თბილისი, დიდუბე, დიღმის მასივი, ეკეგეში მიქელაძის ქუჩა. #11გ-ს მიმდებარედ, შპს "რეწესანს ესთეითი"-ს მოთხოვნების საფუძველზე. არსებული სატელეფონო კომუნიკაციის რეორგანიზაცია.
			სახაზო ნაგებობები — ORM ID: 259933; ფართობი: 37; ბმ: 32
			საინტაჟო ნახაზი — ზ.ს. სრულყოფილი ფართობი 6/21/2019
შემდგენი	ა. ებუხვარი		
შემდგენი	კ.ფუნჯაშვილი		

პროექტი - ID_259933 - ის
ხარჯთაღრიცხვა

აბონენტი: შპს "რენესანს ესთეითი"
დიდუბე, დიღმის მასივი, ევგენი მიქელაძის
მისამართი: ქუჩა, #11გ
პირადი No: * 400249049

სამონტაჟო სამუშაოები:

No.	სამუშაოთა ჩამოწათვალი	განზომილება	რაოდენობა	შემსრულებლის რაოდენობა	მუშაკების ფასი	ერთ. ფასი ლ.	ჯამური ღირებულება
1	ქურო პირდაპირი 500X2 მონტაჟი სატელეფონო კანალიზაციაში	ც	1	2	6.2	8.33	103.29
2	ქურო 600X2 გამორეკვა	ც	4	2	6.2	40	496
3	დემონტაჟი კაბელის ტპპ 100X2 სატელეფონო კანალიზაციაში	მ	182	5	3.8	1.46	27.66
4	კაბელი ტპპ 400X2-დან 600X2-ის ჩათვლით მონტაჟი სატელეფონო კანალიზაციაში (მასალის გარეშე)	მ	390	5	3.8	10.53	200.07
5	ოპტიკური კაბელის მონტაჟი (მასალის გარეშე)	მ	400	5	3.8	6.4	121.6
6	კაბელი/ოპტიკურ–ბოჭკოვანი/SM/MLT/1/24/ერთ მაგის მონტაჟი კანალიზაციაში	მ	860	5	3.8	13.76	261.44
7	ოპტიკური ქუროს გახსნა-დახურვა	ც	24	2	5.13	10.08	103.42
8	ქურო 100X2 გამორეკვა	ც	11	2	6.2	18.37	227.79
9	ქურო პირდაპირი 100X2 მონტაჟი სატელეფონო კანალიზაციაში	ც	1	2	6.2	1.67	20.71
10	ქურო 400X2 გამორეკვა	ც	1	2	6.2	6.67	82.71
11	კაბელი/ტპპ-ზ/100/0.4 მონტაჟი კანალიზაციაში	მ	70	5	3.8	1.12	21.28
12	ქურო გამანაწილებელი/200/2-400/2/2 თითიანი/2MRP 2/4 -ის მონტაჟი სატელეონო კანალიზაციაში	ც	2	2	6.2	6.66	82.58
13	ოპტიკური კაბელის დემონტაჟი	მ	1247	5	3.8	9.98	189.54
14	ქურო გამანაწილებელი 600/2/2 მონტაჟი სატელეონო კანალიზაციაში	ც	1	2	6.2	10	124
15	კაბელი/ოპტიკურ–ბოჭკოვანი/SM/MLT/1/24/ერთ მაგის მონტაჟი ფასადზე	მ	235	4	3.8	18.8	285.76
16	დემონტაჟი კაბელის ტპპ 600X2–1000X2	მ	182	5	3.8	2.73	51.87
17	ქურო პირდაპირი 600X2 მონტაჟი სატელეფონო კანალიზაციაში	ც	3	2	6.2	30	372
18	ოპტიკური წვერის დადუღება არსებულ ქუროში	წვ.	12	2	5.13	3	30.78
19	ოკ-72-ის მონტაჟი კანალიზაციაში	მ	130	5	3.8	2.08	39.52
20	კაბელი/ოპტიკურ–ბოჭკოვანი/SM/MLT/1/24/ერთ მაგის მონტაჟი შენობაში	მ	120	4	3.8	3.2	48.64
21	ქურო 500X2 გამორეკვა	ც	1	2	6.2	8.33	103.29
22	ODF/WB წვერის დადუღება	წვ.	6	2	8.3	0.24	3.98
23	ოპტიკური კაბელის მონტაჟი ქუროში	ც	47	2	5.13	23.5	241.11

24	კაბელი სპილენძის/კროსირების/ვკსვ–2/2/0.4 მონტაჟი კროსში და კარადაში	ც	346	2	2.8	17.3	96.88
25	ოპტიკური წვერის დადუღება ახალ ქუროში	წვ.	1240	2	5.13	148.8	1526.69
26	კაბელი ტპშ 200X2-ის მონტაჟი სატელეფონო კანალიზაციაში	მ	440	5	3.8	8.8	167.2
27	კაბელის მიერთება ქუროში (წყვილი) მასალის გარეშე	წყვილი	5000	2	6.2	85	1054
28	დემონტაჟი კაბელის ტპშ 600X2–1000X2	მ	59	5	3.8	0.89	16.81
29	კაბელი ტპშ 10X2-დან 100X2-ის ჩათვლით მონტაჟი სატელეფონო კანალიზაციაში (მასალის გარეშე)	მ	174	5	3.8	2.78	52.9
30	ქურო 200X2 გამორეკვა	ც	4	2	6.2	13.32	165.17
31	ოკ-96-ის მონტაჟი კანალიზაციაში	მ	660	5	3.8	10.56	200.64
32	დემონტაჟი კაბელის ტპშ 400X2	მ	91	5	3.8	1.18	22.48
33	ოპტიკური სპლიტერი/PLC/1:4/კონექტორის გარეშე - მონტაჟი	ც	3	2	4.7	3	28.2
34	დემონტაჟი კაბელის ტპშ 500X2	მ	91	5	3.8	1.18	22.48
	I ჯამი						6592.5

მასალები:

No.	მასალის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი ლ.	ჯამური ღირებულება
1	პოლიეთილენის ლენტა	კგ	0.341	4.74	1.62
2	პოლიეთილენის მასრა	კგ	8	25.76	206.08
3	ლითონის ფურცელი/მოთუთიებული/2/1	კვ. მ	0.799	5.77	4.61
4	კაბელი/ოპტიკურ–ბოჭკოვანი/SM/MLT/1/24/ერთ მაგი	მ	1215	1.21	1470.15
5	კაბელი/ოპტიკურ–ბოჭკოვანი/SM/MLT/8/12/96/ე რთმაგი	მ	660	3.5	2310
6	კაბელი/ოპტიკურ–ბოჭკოვანი/SM/MLT/6/12/72/ე რთმაგი	მ	130	2.65	344.5
7	მინის ლენტა	მ	120	0.31	37.2
8	კაბელი/ტპშ-ზ/100/0.4	მ	70	6.39	447.3
9	კაბელი/პკსვ–2/2/0.4	მ	865	0.12	103.8
10	კაბელი/ტპშ/200/0.4	მ	440	5.67	2494.8
11	ბეტონის ლურსმანმჭედი პისტოლეტის ტყვია (შავი)	ც	400	0.06	24
12	ლურსმანი/დუბელის/30მმ	ც	400	0.03	12
13	ქურო ოპტიკური/GJS-03A	ც	14	97.45	1364.3
14	ტაისი/მარკირების/3.8/450	ც	170	0.25	42.5
15	მასრა/ოპტიკური/თერმული/45	ც	1350	0.06	81
16	ტაისი/3.5/300	ც	220	0.02	4.4
17	სკობი/#4	ც	200	0.02	4
18	ქურო პირდაპირი/100/2/თერმო მილებით	ც	1	12.67	12.67
19	ქურო ოპტიკური/GPJ-M	ც	4	47.36	189.44
20	ქურო ოპტიკური/GPJ-E	ც	4	56.93	227.72
21	ქურო გამანაწილებელი/200/2-400/2/2 თითიანი/2MRP 2/4	ც	2	30.06	60.12
22	ქურო პირდაპირი/500/2-600/2/MPP 5/6	ც	4	42	168

23	ოპტიკური სპლიტერი/PLC/1:4/კონექტორის გარეშე	ც	3	7.44	22.32
24	სამაგრი/სპლიტერის კასეტაზე/GJS-03A ქუროსთვის	ც	1	4.89	4.89
25	ქურო გამანაწილებელი/500/2-600/2/2 თითიანი/2MRP 5/6	ც	1	80.26	80.26
26			0	0	0
	II ჯამი				9717.68

სამონტაჟო სამუშაოს ჯამი:

No.	დასახელება	კოეფიციენტი	ჯამური ღირებულება (ლ)
1	I ჯამი + II ჯამი		16310.17
2	ტრანსპ. ხარჯი	4%	652.41
	ჯამი		16962.58
1	გაუთვ. ხარჯი	3%	508.88
	ჯამი		17471.46
1	საერთო ჯამი		17471.46

სამშენებლო სამუშაოები:

No.	სამუშაოთა ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	შემსრულებლის რაოდენობა	მუშაკების ფასი	ერთ. ფასი ლ.	ჯამური ღირებულება
1	მცირე ტიპის ჭის მშენებლობა ასფალტზე (1.8X1X1.6)X5	ც	5	4	3.8	80	1216
1.1	მიწის ამოთხრა						
1.2	საფუძველის მოწყობა ბეტონით						
1.3	კედლების ამოშენება აგურით (მთელ აგურზე)						
1.4	კონსოლის (კაუჭი) მიმაგრება						
1.5	ნარჩენი თხრილის მიწით ამოვსება						
1.6	მრგვალი ჩარჩო ხუფი რ/ბეტონის კონსტრუქციით (2.0X1.2) (მონტაჟი)						
1.7	ნარჩენი მიწის გატანა						
1.8	ასფალტის საფარის გაჭრა ალმასის დისკით						
1.9	ასფალტის საფარის მოხსნა კომპრესორით (2.3X1.5)X5						
1.1	კრონშტეინის მონტაჟი						
2	თორმეტარხიანი სატ/კანალიზაციის მშენებლობა (99.8X0.55X1.0)	მ	99.8	6	3.8	598.8	13652.64
2.1	მილის ჩადება მიწათხრილში						
2.2	მიწათხრილის ამოთხრა (99.8X0.55X1.0)						
2.3	საძირკველის მოწყობა ღორღით (99.8X0.55X0.05)						
2.4	ქვიშის ბალიშის მოწყობა (99.8X0.55X0.05)						
2.5	თხრილის ამოვსება ბალასტით (99.8X0.55X0.3)						
2.6	ბალასტის დატკეპნა პნევმო სატკეპნით (99.8X0.55)						

2.7	ზედაფენის მოწყობა ღორღით (99.8X0.55X0.1)						
2.8	ნარჩენი მიწის გატანა (99.8X0.55X1.0)						
2.9	მილის დაფარვა ქვიშით (99.8X0.55X0.5)–(99.8X0.0667)						
	I ჯამი						14868.64

მასალები:

No.	მასალის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი ლ.	ჯამური ღირებულება
1	ბალასტი	კბ. მ	16.467	24.86	409.37
2	ღორღი	კბ. მ	9.1135	27.5	250.62
3	ქვიშა/შავი	კბ. მ	26.28284	34.05	894.93
4	ცემენტი	კგ	1500	0.2	300
5	მილი/გოფრირებული/110მმ/50მ/KF09110BA	მ	1596.8	3.57	5700.58
6	კრონშტეინი/კონსოლის/1.2მ	ც	32	10.79	345.28
7	ერში	ც	64	2.25	144
8	კონსოლი/ორ ადგილიანი	ც	32	5.71	182.72
9	რკინა–ბეტონის კონსტრუქცია/კომპოზიტური ჩარჩო ხუფით/D-400/2.0X1.2	ც	5	388.27	1941.35
10	აგური	ც	5770	0.5	2885
	II ჯამი				13053.85

სამშენებლო სამუშაოს ჯამი:

No.	დასახელება	კოეფიციენტი	ჯამური ღირებულება (ლ)
1	I ჯამი + II ჯამი		27922.49
2	ტრანსპ. ხარჯი	4%	1116.9
	ჯამი		29039.39
1	გაუთვ. ხარჯი	3%	871.18
	ჯამი		29910.57
1	საერთო ჯამი		29910.57

საკონტრაქტო სამუშაოები:

No.	სამუშაოთა ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	ჯამური ღირებულება (ლ)
1	ასფალტის დამგები სავალ ნაწილზე 19კვ/მ–ის ჩათვლით	კვ. მ	6	285.36
2	ასფალტის დაგება ტროტუარზე 19კვ/მ–დან 50კვ/მ–ის ჩათვლით	კვ. მ	71.8	1884.03
	III ჯამი			2169.39

საკონტრაქტო სამუშაოს ჯამი:

No.	დასახელება	კოეფიციენტი	ჯამური ღირებულება (ლ)
1	I ჯამი + II ჯამი		2169.39
1	საერთო ჯამი		2169.39

პროექტის ხარჯთაღრიცხვა:

პროექტის ხარჯთაღრიცხვა	სამუშაოები	მასალები	I-II ჯამი	ტრანსპორტ. ხარჯი	III ჯამი	გაუთვალისწ. ხარჯი	IV ჯამი	ჯამური ფასი
სამონტაჟო სამუშაოები	6592.5	9717.68	16310.17	652.41	16962.58	508.88	17471.46	17471.46
სამშენებლო სამუშაოები	14868.64	13053.85	27922.49	1116.9	29039.39	871.18	29910.57	29910.57
საკონტრაქტო სამუშაოები	2169.39							2169.39
დღგ:	18%							8919.2556
საერთო ჯამი	23630.53	22771.52	44232.66	1769.31	46001.97	1380.06	47382.03	58470.6756

მომსახურების ხელშეკრულება #_____

ქ. თბილისი

1 ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, სს „სილქნეტი", სააქციო საზოგადოება დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N95, საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978, (შემდგომში „სილქნეტი") წარმოდგენილი სს „სილქნეტის" გენერალური დირექტორის დავით მამულაიშვილის სახით

და

მეორე მხრივ, შპს „რენესანს ესთეითი", შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დ. ჟღენტის ქ. N130; საიდენტიფიკაციო კოდი: 400249049 (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი მისი დირექტორის რომანი აბმედოვის სახით

ვდებთ ამ მომსახურების ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

"სილქნეტი" და "დამკვეთი" შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც "მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე როგორც "მხარე"

1. „ხელშეკრულების" საგანი

1.1. „სილქნეტი", „დამკვეთის" მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს „სილქნეტის" კუთვნილი საკომუნიკაციო ელემენტის გადატანითი სამუშაოების ჩატარებას (შემდგომში „სამუშაოები").

1.1.1. „სამუშაოები" ხორციელდება შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიდუბე, დიღმის მასივი, ევგენი მიქელაძის ქუჩა, #11გ

1.1.2. „სილქნეტი" „ხელშეკრულების" 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „სამუშაოების" დასრულებას უზრუნველყოფს, „ხელშეკრულების" ძალაში შესვლის შემდგომ, „დამკვეთის" მიერ „ხელშეკრულების" 5.1. პუნქტით განსაზღვრული „ღირებულების" სრულად გადახდის და „სილქნეტის" მიერ შესაბამისი ორგანოებიდან/მესამე პირებიდან „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „სამუშაოების" ჩატარებისთვის შესაბამისი სახის ნებართვა/უფლება/თანხმობის მოპოვებიდან (რომელიც უფრო გვიან დადგება) 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

1.1.3. წინამდებარე მუხლის 1.1.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში „სილქნეტი" უზრუნველყოს 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „სამუშაოების" ჩატარებას. დამკვეთის მიერ გადახდილი თანხა მიმართულ იქნება „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ღირებულების ანგარიშში, ამასთან ჩაითვლება რომ დამკვეთს თანხა ანაზღაურებული აქვს სრულად, თუ მხარეები სამუშაოების ჩატარების პროცესში დამატებით სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან;

1.1.4. იმ შემთხვევაში, თუ „სილქნეტი" ვერ მოიპოვებს „ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარებისთვის გათვალისწინებულ ნებართვა/უფლება/თანხმობას, „სილქნეტი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულება" და „დამკვეთს" დაუბრუნოს ავანსად გადახდილი თანხა („ხელშეკრულების" შეწყვეტამდე „მომსახურების" შესასრულებლად გაწეული ხარჯების გამოკლებით).

1.1.5. „მომსახურების" (სამუშაოების ჩატარების) დასრულების შემდგომ „მხარეთა" შორის ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი;

1.1.6. იმ შემთხვევაში, თუ „სილქნეტის" მიერ „სამუშაოების" დასრულების შესახებ „დამკვეთისთვის" შეტყობინების (მათ შორის ელ.ფოსტა, IVR, ესეემესი/SMS და სხვა) გაგზავნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დამკვეთი" ხელს არ აწერს "სამუშაოების" მიღება–ჩაბარების აქტს ან/და რაიმე ფორმით უარს აცხადებს განხორციელებული "სამუშაოების" ჩაბარებაზე და მას („დამკვეთი") აღნიშნულის თაობაზე „სილქნეტისთვის" არ წარუდგენია წერილობითი ფორმით დასაბუთებული ახსნა-განმარტება/პრეტენზია, აღნიშნული 5 (ხუთი) დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, „სილქნეტის" მიერ ჩატარებული „სამუშაოები" ჩაითვლება „დამკვეთის" მიერ ჩაბარებულად/მიღებულად.

1.2. „ხელშეკრულების" მიზნებისთვის, ყოველგვარი დავისა და გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, „ხელშეკრულების" საფუძველზე გადატანილი ხაზობრივი ნაგებობა/საკომუნიკაციო ელემენტი (მათ შორის, კაბელი, ნებისმიერი აპარატურა და მოძრავი ნივთი და სხვა) უპირობოდ წარმოადგენს სს „სილქნეტის" საკუთრებას.

1.3. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო პროცესში წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ვითარება და პროექტი საჭიროებს გადაკეთებას ან/და ახლის მომზადებას, „მხარეები" ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აფორმებენ დამატებით შეთანხმებას. „დამკვეთის" მიზეზით პროექტის გადაკეთების შემთხვევაში, ახალი პროექტით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულების გადახდა ეკისრება „დამკვეთს".

1.4. „ხელშეკრულების" საფუძველზე გადატანილი საკომუნიკაციო ელემენტები/ხაზობრივი ნაგებობები წარმოადგენს „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 04 ივლისის N134 დადგენილებით (შემდგომში „დადგენილება") დაცულ ხაზობრივ ნაგებობას/ნაგებობებს და შესაბამისად „სილქნეტი" უფლებამოსილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე განახორციელოს „ხაზობრივი ნაგებობით" სარგებლობა და აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოშობილი უფლებები დაიცვა (მათ შორის, ყველა პირს მოთხოვოს მათი დაცვა), თავის მხრივ დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ხაზობრივი ნაგებობის/ნაგებობების ხელშეუხებლობა და დაცულობა. ამასთან „სილქნეტი" უფლებამოსილია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოახდინოს აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობის მის („სილქნეტის") საკუთრებაში რეგისტრაცია.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის „მხარეთა" მიერ „ხელშეკრულების" ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს „მხარეთა" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვნად შესრულებამდე.

3. „სილქნეტის" უფლება–მოვალეობები:

3.1. „სილქნეტი" უფლებამოსილია

3.1.1. "მომსახურების" შესრულების პერიოდში "დამკვეთისგან" მიიღოს ყველა სახის საჭირო ინფორმაცია.

3.1.2. იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდება ან/და სრულდება არაჯეროვნად, შეწყვიტოს „ხელშეკრულება" ან/და „დამკვეთს" დააკისროს ჯარიმა „ხელშეკრულების" 6.1. პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით;

3.1.3. გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

3.2. „სილქნეტი" ვალდებულია:

3.2.1. "მომსახურება" გაწიოს სრულად "ხელშეკრულებით" განსაზღვრულ ვადებში.

3.2.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებები.

ს" უფლება–მოვალეობები
კვეთი" უფლებამოსილია:
გამოიყენოს "ხელშეკრულებით" და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.
2. მოსთხოვოს „სილქნეტს" ხელშეკრულების პირობების სრული და ჯეროვანი შესრულება;
4.2. "დამკვეთი" ვალდებულია:
4.2.1. უზრუნველყოს „ღირებულების" გადახდა „ხელშეკრულების" მე–5 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
4.2.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები.
4.2.3. საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს, ყველა იმ დამატებითი სამუშაოების ჩატარებას, რაც ხარჯთაღრიცხვით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად;
4.2.4. „სილქნეტს" და მის პერსონალს, მათ შორის „სილქნეტის" მიერ დაქირავებულ ქვეკონტრაქტორებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეუქმნას „მომსახურების" (სამუშაოების ჩატარებისთვის) გაწევისთვის შესაბამისი სახის პირობები (რაც, მოიცავს სამუშაო პერიმეტრზე დამვება, საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას და სხვა) აღნიშნული, ვალდებულების დარღვევის საფუძველზე, „სამუშაოების" მოცდენის შემთვევაში, „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული სამუშაოების („მომსახურების") ჩატარების ვადები გადაიწევს მოცდენილი დღეების პროპორციულად;
4.2.5. „დამკვეთი" აცხადებს და ადასტურებს, რომ „სამუშაოების" განხორციელების ტერიტორიას ფლობს და სარგებლობს კანონიერად, აგრეთვე „დამკვეთს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი ნებართვა/უფლება/თანხმობა, რაც აუცილებელია მის („დამკვეთის") მიერ, „ხელშეკრულების" გასაფორმებლად და „ხელშეკრულებით" განსაზღვრული უფლება–მოვალეობების ჯეროვნად განხორციელებისთვის/შესრულებისთვის და „სილქნეტის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების დაუბრკოლებლად და ჯეროვნად შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთის" აღნიშნული განცხადება აღმოჩნდება არასწორი, „დამკვეთი" ვალდებულია, სრულად აუნაზღაუროს „სილქნეტს" და ყველა სათანადო მესამე პირს, აღნიშნულით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი სახის ზიანი.

5. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „სამუშაოების" („მომსახურების") საერთო ღირებულებაა 58,470.00 (ორმოცდათვრამეტი ათას ოთხას სამოცდაათი) ლარი (შემდგომში „ღირებულება")

5.2. „დამკვეთის" მიერ, „ღირებულების" გადახდა განხორციელდება „ხელშეკრულების" ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, „სილქნეტის" საბანკო ანგარიშზე ***(ბანკი: სს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი: TBCBGE22; ანგარიშის ნომერი: GE97TB7404936070100004)*** გადარიცხვის გზით.

5.2.1. „დამკვეთი" ვალდებულია „ღირებულების" გადახდისას ანგარიშსწორების დანიშნულებაში მიუთითოს შემდეგი: **სს „სილქნეტის" მიერ საკომუნიკაციო ელემენტის გადატანითი სამუშაოების ჩატარების ღირებულება.** „დამკვეთის" მიერ ზემოთაღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „სილქნეტი" უფლებამოსილია უარი განაცხადოს „მომსახურების" გაწევაზე, ვიდრე არ მოხდება „ღირებულების" გადახდა ზემოთაღნიშნული პირობების შესაბამისად.

5.3. „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „ღირებულება" მოიცავს დღგ–ს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სხვა სახის გადასახადს.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. „დამკვეთის" ინიციატივით, „ხელშეკრულების" ცალმხრივად შეწყვეტის ან/და იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულება არ სრულდება ან/და სრულდება არაჯეროვნად, „დამკვეთს" დაეკისრება პირგასამტეხლო „ღირებულების" 20%–ის ოდენობით (შემდგომში „ჯარიმა"). „სილქნეტი" უფლებამოსილია, „დამკვეთის" მიერ გადახდილი „ღირებულებიდან" სრულად ან ნაწილობრივ გაქვითოს აღნიშნული ჯარიმა ან/და მოითხოვოს ჯარიმის ან/და მისი გაუქვითავი ნაწილის გადახდა „ხელშეკრულების" შეწყვეტიდან ან/და „სილქნეტის" მიერ „დამკვეთისთვის" გაგზავნილი შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.2. „დამკვეთის" ინიციატივით, „ხელშეკრულების" ცალმხრივად შეწყვეტის ან/და იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულება არ სრულდება ან/და სრულდება არაჯეროვნად, „დამკვეთს" არ დაუბრუნდება „ხელშეკრულების" საფუძველზე გადახდილი „ღირებულებიდან" „ხელშეკრულების" შეწყვეტის დღისთვის „სილქნეტის" მიერ „ხელშეკრულების" საფუძველზე ფაქტობრივად განხორციელებული და მასთან დაკავშირებული „სამუშაოების" („მომსახურების") ღირებულება. აღნიშნულთან დაკავშირებით, „სილქნეტი" უფლებამოსილია „ღირებულებიდან" სრულად ან ნაწილობრივ გაქვითოს, „ხელშეკრულების" 6.1. პუნქტის საფუძველზე დაკისრებული „ჯარიმა", ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „ღირებულებიდან" სრულად ვერ ხორციელდება ჯარიმის თანხის გაქვითა (არ არის დარჩენილი საკმარისი ოდენობის თანხა), „დამკვეთი" გაუქვითავი "ჯარიმის" გადახდას უზრუნველყოფს „ხელშეკრულების" შეწყვეტიდან ან/და „სილქნეტის" მიერ „დამკვეთისთვის" გაგზავნილი შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

6.3. „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, "მხარეები" პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობითა და ამ "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობებითა და წესით. თითოეული "მხარე" პასუხისმგებელია მეორე "მხარისთვის" მიყენებულ ზიანზე.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთი" „ხელშეკრულების" საფუძველზე დაკისრებული ჯარიმის, პირგასამტეხლოს თანხების, აგრეთვე „ხელშეკრულების" საფუძველზე „დამკვეთის" მიერ „სილქნეტისთვის" მიყენებული ზიანის გადახდას არ განახორციელებს „ხელშეკრულების" შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ ვადებში, „სილქნეტი" უფლებამოსილი იქნება ჯარიმის, პირგასამტეხლოს და მიყენებული ზიანის ღირებულების გადახდის უზრუნველსაყოფად (ამოსაღებად), განახორციელოს „დამკვეთის" საკუთრებაში არსებული მთელი ქონებიდან ნებისმიერი სახის უძრავი და მოძრავი ქონების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით აღსრულებაზე მიმართვა, იმ ოდენობით ვიდრე ჯარიმა, პირგასამტეხლო და მიყენებული ზიანის ღირებულება სრულად არ იქნება გადახდილი (ანაზღაურებული).

6.5. „ხელშეკრულების" მიზნებისთვის, „დამკვეთი" აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი („დამკვეთი") არ წარმოადგენს პირს რომელიც შექმნილია ან რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით (რომელსაც მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება თიზ–ის საწარმო, საერთაშორისო ფინანსური კომპანია, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი, მაღალმთიანი დასახლების საწარმო, სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივი, ვირტუალური ზონის იურიდიული პირი) ან/და რომელიც ახორციელებს საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ საქებართვო საქმიანობას (მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატის სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მომწყობი პირისა). იმ შემთხვევაში თუ „დამკვეთზე" გავრცელდება აღნიშნული სტატუსები, „დამკვეთი" ვალდებულია არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სტატუსის გავრცელების ან/და შემდგომი გაუქმების შესახებ „სილქნეტს" და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს მას შესაბამისი დოკუმენტი. „ასევე, ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება და პასუხისმგებლობა, ვრცელდება ისეთ შემთხვევაზეც, როდესაც "დამკვეთი" იძენს/იუქმებს ინდივიდუალური მეწარმის სტატუსს და "სილქნეტს" წარმოემობა საგადასახადო აგენტის ვალდებულება ან თავისუფლდება ამგვარი ვალდებულებისგან. „დამკვეთის" მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების/ვადების დარღვევის შემთხვევაში „სილქნეტი" უფლებამოსილია დააკისროს „დამკვეთს" ასეთი დარღვევების

ერი მესამე პირის (მ.შ საგადასახადო ორგანოს და საპენსიო სააგენტოს მიერ) სილქნეტისთვის დაკისრებული სანქციები და

„მხარეები" თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ „დამკვეთს" „სილქნეტის" წინამე გააჩნია ან/და აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ...ოეშობა რაიმე სახის დავალიანება, მათ შორის სილქნეტის მიერ საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული, ან სხვა ...ებისმიერი სახელშეკრულებო პირობის დარღვევის გამო წარმოშობილი პირგასამტეხლოს ან/და საურავის სახით, „სილქნეტი" უფლებამოსილია დავალიანების თანხა გაქვითოს „ღირებულებიდან" და შესაბამისი დავალიანების დასაფარად მიმართოს ამგვარი გაქვითული თანხები.

7. ფორს-მაჟორი

7.1. "მხარეები"თავისუფლდებიან ამ "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის მოქმედებით. ამგვარი გარემოებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი გარემოებებით: ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, სხვა სტიქიური უბედურებები, ომი, საომარი მოქმედებები, გაფიცვები, სახელმწიფო და მმართველობის ორგანოების მიერ ისეთი ნორმატიული აქტების (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს: შესაბამისი ადმინისტრაციული ან/და არქიტექტურის სამსახურის მიერ სამუშაოების ჩატარებაზე ნებართვა/თანხმობის გაცემაზე უარის თქმის ან/და ხარვეზის დადგენის ან/და სხვა შემთხვევებში) მიღება, რომლის საფუძველზე შეუძლებელია "მხარეთა" მიერ ამ "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად ან სრულად შესრულება, ასევე მესამე პირების მიერ (რომლთაგანაც საჭიროა ,,მომსახურებასთან" დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებაზე თანხმობის/ნებართვის მოპოვება) ,,მომსახურებასთან" დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებაზე უარის გაცხადების შეთხვევაში.

7.2. "მხარეები" ვალდებულნი არიან დაუყონებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.

7.3. ფორს-მაჟორის დადასტურების შემთხვევაში, მხარეთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გაიზრდება ფორს-მაჟორის ვადის პროპორციულად. ვადის გამოთვლა განახლდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების შემაფერხებელი ფორს - მაჟორის დასრულებისთანავე. ვადის დარჩენილი ნაწილი გაიზრდება შეფერხების ხანგრძლივობის პროპორციულად. ფორს-მაჟორული მდგომარეობ(ებ)ის დასრულებისთანავე, „მხარეები" ვალდებულნი არიან სრულად აღადგინონ (გააგრძელონ) ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება. „მხარეები" თანხმდებიან, რომ თუკი ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 1 (ერთი) თვეზე მეტ ხანს „მხარეები" უფლებამოსილები არიან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტონ წინამდებარე „ხელშეკრულება".

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. „ხელშეკრულების" შეწყვეტა დასაშვებია:

8.1.1. „მხარეთა" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

8.1.2. "მხარეთა" ურთიერთშეთანხმებით;

8.1. "სილქნეტს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს "ხელშეკრულება", ნებისმიერ დროს თუ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინებს "დამკვეთს" "ხელშეკრულების" შეწყვეტის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ სილქნეტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის დამკვეთის მიერ გადახდილია ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული ღირებულება, „სილქნეტი" ვალდებულია აღნიშნული ღირებულება დაუბრუნოს დამკვეთს, ხელშეკრულების შეწყვეტისთვის ჯეროვნად შესრულებული მომსახურების ღირებულების გამოკლებით.

8.2. „დამკვეთის" მიერ „ხელშეკრულების" სპეციალური პირობებით განსაზღვრულ ვადაში „ღირებულების" გადაუხდელობის, ან/და არასრულად გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან გადახდის დამატებით ვადაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შეწყდა დამკვეთის მიერ ღირებულების არასრულად გადახდის გამო და მხარეთა შორის არ არის შეთანხმება ღირებულების დარჩენილი თანხის გადახდის მიზნით დამატებითი ვადის განსაზღვრაზე, „დამკვეთს" უბრუნდება მის მიერ გადახდილი არასრული ღირებულება.

9. სილქნეტის პოლიტიკა

9.1. „დამკვეთი" აცხადებს, იძლევა გარანტიას და ადასტურებს, რომ

9.1.1. მისთვის ცნობილია „სილქნეტის" პოლიტიკა, რომელიც მკაცრად კრძალავს როგორც მისი, ასევე მასთან აფილირებული/ურთიერთდამოკიდებული საწარმოს დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ბიზნესის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების, სარგებელის ან/და სხვაგვარი ბიზნეს უპირატესობის მიღების მიზნით;

9.1.2. „დამკვეთს" (მათ შორის, არც მის დირექტორს, უფლებამოსილ პირს, წარმომადგენელს, თანამშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან აფილირებულ/ურთიერთდამოკიდებულ პირს:

9.1.2.1. „სილქნეტთან" დაკავშირებული არც ერთი ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, სასყიდელი ან/და ანაზღაურება;

9.1.2.2. არ განუხორციელებია რაიმე ქმედება (ფარული შეთანხმების ჩათვლით), რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა ხელშეკრულების დადებაზე და რომლის მიზანიც არის ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა, ან/და რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი აფილირებული/ურთიერთდაკავშირებული საწარმოს ქმედებებზე, ან/და რომელიმე ზემოაღნიშნული პირის მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ, ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ბიზნესის წარმოების მიზნით ან/და სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.

9.2. სილქნეტის პოლიტიკის (რომელიც განთავსებულია სილქნეტის ვებ გვერდზე www.silknet.com) ან წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი დებულების დარღვევა გამოიწვევს როგორც ამ, ისე „სილქნეტთან" აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტას. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს „დამკვეთის" ან/და მისი დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და აფილირებული/ურთიერთდამოკიდებული საწარმოს პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც).

9.3. აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და „სილქნეტთან" აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა;

[illegible]ი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „სილქნეტს" ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში [illegible] „სილქნეტის" პოლიტიკასთან ან/და გამოიწვიოს ამ გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის [illegible]ებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

9.8. მხარეები აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ „სილქნეტი" მხოლოდ მხარის ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს როგორც ამ ხელშეკრულებას, ისე მხარესთან გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ს.

9.6. „სილქნეტი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მხარის მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პირობების/ვალდებულებების შესრულების შემოწმება, რა დროსაც მხარე ვალდებულია ითანამშრომლოს „სილქნეტთან" და წარუდგინოს მას ყველა ის დოკუმენტაცია, ახსნა-განმარტება რაც აუცილებელია „სილქნეტისთვის", მხარის მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემოწმებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უარს განაცხადებს ამგვარ თანამშრომლობაზე, „სილქნეტი" უფლებამოსილია, მასზე ყოველგვარი დამატებითი სანქციის, ჯარიმის, პირგასამტეხლოს დაკისრების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. "ხელშეკრულება" ძალაში შედის "მხარეთა" მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

10.2. ხელშეკრულების მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ნუმერაციაში და მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მითითებაში ცდომილება/სხვაობის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება მითითებული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაბამისი შინაარსის მქონე ხელშეკრულების მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

10.3. „ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს ''ხელშეკრულების'' შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება ''ხელშეკრულების'' სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) ''ხელშეკრულების'' შინაარსთან (განმარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

10.4. "ხელშეკრულებაში'' ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობით, "მხარეთა" შეთანხმებით

10.5. 'ხელშეკრულება'', მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება "მხარეთა'' შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

10.6. იმ შემთხვევაში, თუ ამ "ხელშეკრულების" რომელიმე მუხლი გაუქმდება, ეს არ გამოიწვევს სხვა მუხლების მოქმედების შეწყვეტას;

10.7. "მხარეთა'' შორის წარმოშობილი უთანხმოებანი წყდება მოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს საქართველოს შესაბამისი სასამართლო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.8. „მხარეები" თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1[1] ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, „სილქნეტის" სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

10.9. "ხელშეკრულება" შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „სილქნეტს" ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი „დამკვეთს".

სს „სილქნეტი"

დავით მამულაიშვილი
გენერალური დირექტორი

შპს „რენესანს ესთეითი "

რომანი ახმედოვი
დირექტორი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**67-01191493635**
თარიღი: **29/05/2019**

ადრესატი:

კახა კალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

ზოგადი ინფორმაცია	
დასკვნა: დადებითი	
განცხადების ნომერი	01190564568-67; 01191081301-67; 01191134269-67; 0119134586-67 , 01191482009-67
განცხადების თარიღი	25.02.2019 წ. 18.04.2019 წ; 24.04.2019 წ; 14.05.2019 წ; 28.05.2019 წ.
ნომენკლატურა	ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური / სპეციალური (ზონალური) შეთანხმება / განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება / მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი – კ-2
მისამართი	ქალაქი თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა, N 11გ
საკადასტრო კოდ(ებ)ი	N01.13.03.023.095 (სასოფლო-სამეურნეო)
ფართობ(ებ)ი	1193.00 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს რენესანს ესთეითი
არსებული ფუნქციური ზონა(ები)	**საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)** *მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ-1=0,5 */0,7* *მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=3.5* *მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3=0.2* *მინიმალური ფართობი 600 / 700 ** *მინიმალური სიგანე 15 / 20 ** *მინიმალური სიღრმე 25 / 30 **

	შენიშვნა: * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის
მოთხოვნილი პარამეტრები *(არსებობის შემთხვევაში)*	მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2=4.4
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება	მრავალფუნქციური კომპლექსი (კომერციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, საზოგადოებრივი კვების სივრცეები, სასტუმროს ნომრები, საცხოვრებელი აპარტამენტები, საოფისე ფართები)
განმცხადებლის მოთხოვნა	მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, საზოგადოებრივი კვების სივრცეები, სასტუმროს ნომრები, საცხოვრებელი აპარტამენტები, საოფისე ფართები) განთავსების მიზნით ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა

საკითხის აღწერა

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა N11გ-ში (ფართობი 1193 კვ.მ), როგორც განახლებული ასევე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ეტაპისათვის მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 (სსზ-1), ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თანამხად კი პერიფერიული ზონა. საპროექტო ტერიტორიაზე (ს/კ01.13.03.023.083 1013 კვ.მ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსხურის 2017 წლის 27 თებერვლის №3204549 ბრძანებით მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, საზოგადოებრივი კვების სივრცეები, სასტუმროს ნომრები, საცხოვრებელი აპარტამენტები, საოფისე ფართები) განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ვინაიდან საზოგადოებრივ-საქმიან ზონა-1 (სსზ-1)-ში საცხოვრებელი ფუნქცია წარმოადგენს საგამონაკლისო წესით დასაშვებ სახეობას, საკითხი განხილულ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“–ს 2017 წლის 31 მარტის N13 სხდომაზე რის საფუძველზეც გამოიცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 19 აპრილის N1–883 ბრძანება.

ამავე საკადასტროს ფარგლებში, მოქალაქემ არაერთხელ მოითხოვა ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის გადამეტება (კ2=5.5, კ2=4.6, კ2=4.5), საკითხები განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს მიერ და რიგი რეკომენდაციების გათვალისწინებით ფიქსირდებოდა უარყოფითი პოზიციები, უმეტესწილად რეკომენდაციები ეხებოდა გადაჭარბებულ ინტენსივობასა და მიჯნების დაცვას ღიობებთან მიმართებაში.

აღნიშნულის შემდგომ მოხდა საკადასტრო მონაცემების ცვლილება კერძოდ მოხდა საპროექტო მიწის ნაკვეთის გაზრდა, არსებული მდგომარეობით შეცვლილია საკადასტრო კოდი და ფართობი (ს/კ 01.13.03.023.095, 1193.00 კვ.მ). შეცვლილი საკადასტრო მონაცემები უნდა აისახოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 19 აპრილის N1–883 ბრძანებაშიც.

დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთის გარემო ხასიათდება მაღალი ინტენსივობის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანებით. დაინტერესებული პირის მოთხოვნაა ნაკვეთის განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტის გაზრდა კ-2=4.4 მაჩვენებლამდე, წარმოდგენილი ქალაქგეგმარებითი დასაბუთების საფუძველზე. ამასთან გათვალისწინებულია ზემოხსენებული საბჭოს რეკომენდაციები და შეცვლილია საპროექტო მოცულობის განთავსების ადგილიც. საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურებში, რომელთან თავის მხრივ სამართლებრივ/ სოციალურ გარემოებების გათვალისწინებით დააფიქსირეს დადებითი პოზიციები.

დასკვნა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მაღალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით განაშენიანებულ კვარტალში. საპროექტო მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა და ფართობი იძლევა მასზე სრულყოფილი, მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნას შესაბამისი ინფრასტრუქტურით (საერთო სარგებლობის ეზო, ბავშვთა გასართობი სივრცე და სხვ.) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების“ 21-ე მუხლის შესაბამისად განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა შესაძლებელია, თუ: ცვლილებას მოითხოვს დედაქალაქის ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული (სოციალური, ეკონომიკური, ფორსმაჟორული და სხვა მსგავსი) მიზეზები; ცვლილება წონასწორდება ან კომპენსირდება იმგვარი ზომებით, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების შელახვისა და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას; ცვლილებას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები.

„განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულებით, რეკომენდაცია გაეწია ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, მრავალბინიანისაცხოვრებელი ფუნქციის შემცველ ობიექტზე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში, თუ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი საანგარიშო ფართობი აღემატება 350 კვ.მ.-ს, ამასთანავე გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ქალაქგეგმარებითი პირობების (ურბანული, სატრანსპორტო და სხვა ქალაქთმშენებლობითი რეგულაციები) გათვალისწინებით. ამასთან, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით).

ვინაიდან საპროექტო წინადადებით არ ირღვევა მიმდებარე განაშენიანების სტრუქტურა, სივრცითი წყობა და ქალაქგეგმარებითი ხასიათი, ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების შესრულების პირობით სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 19 აპრილის N1–883 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება, კერძოდ ქალაქ თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა N11გ-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.03.023.095) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, საზოგადოებრივი კვების სივრცეები, სასტუმროს ნომრები, საცხოვრებელი აპარტამენტები, საოფისე ფართები) სამშენებლოდ განვითარებისთვის, ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ–2=4.4 მაჩვენებლისა და განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირება.

ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირობა, საპროექტო მოცულობის განთავსებასთან დაკავშირებით, კერძოდ, საპროექტო შენობა-ნაგებობის ღიობების განთავსებისას დაცულ უნდა იქნეს

შესაბამისი მიჯნები აღმოსავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში და ზოგადად, შენობა-ნაგებობის განთავსებისას დაცულ უნდა იქნეს მანძილი აღმოსავლეთით არსებულ შენობასთან, რათა არ დაირღვეს მაცხოვრებელთა ჯანსაღი საცხოვრებელი გარემო.	
სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტები:	
სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტები:	1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილება; 2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილება.
	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების დასკვნის საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით, წერილობითი დასტურის/მშენებლობის ნებართვის გაცემის რომელიმე სტადიის ან/და ტერიტორიული-სტრუქტურული დოკუმენტების დამუშავებისა ან/და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინამდებარე დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-19 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის მიზნით ამ დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს განცხადების წარდგენის დროს მოქმედი წესების შესაბამისად. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების

სამართლებრივი დასკვნა:	დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1) დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0.5*/0.7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 3.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 =0.2 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700*/600 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20*/15 მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30*/25 მ *მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის შესაძლებელია განაშენიანების რეგულირების წესების დანართი N1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული თითოეული სახეობის არსებობა არა უმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ისა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა დაუშვებელია, გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების პარამეტრებიდან შეცვლას ექვემდებარება სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით – კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლები. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად პზ-ში ნებისმიერი ფუნქციის, მათ შორის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ან/და საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა შესაძლებელია, თუ: ა) ცვლილებას მოითხოვს დედაქალაქის ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული (სოციალური, ეკონომიკური, ფორსმაჟორული და სხვა მსგავსი) მიზეზები;

ბ) ცვლილება წონასწორდება ან კომპენსირდება იმგვარი ზომებით, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების შელახვისა და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

გ) ცვლილებას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები.

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების წესებით“ დადგენილი იმ ძირითადი პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია ამ კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტში ან დადგენილია იმავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მიხედვით, შეიცვლება ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ან სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე, თუ:

ა) ამას მოითხოვს დასახლების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და არქიტექტურული, აგრეთვე ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა განსაკუთრებული მიზეზები;

ბ) ცვლილება კომპენსირდება სხვა ღონისძიებებით;

გ) ამას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები.

„განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულების მიხედვით, მუნიციპალიტეტის საბინაო სოციალური ვალდებულებები ეფექტურად შესრულების მიზნით, იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც განსახილველად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-19 დადგენილების ამოქმედებამდე და ქალაქგეგმარებითი (ურბანული, სატრანსპორტო და სხვა ქალაქთმშენებლობთი რეგულაციები) თვალსაზრისით კოეფიციენტის გადამეტება მიზანშეწონილია განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საბინაო ვალდებულებებთან თავსებად ახალი მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენებით.

ვინაიდან 01190564568-67 (01191081301-67; 01191134269-67; 0119134586-67, 01191482009-67) განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტა არ არღვევს არსებულ გარემოს და მიმდებარედ ჩამოყალიბებული განაშენიანების ხასიათს და ამასთანავე, სოციალური მიზნებისთვის ითვალისწინებს მაკომპენსირებელ ღონისძიებებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 19 აპრილის N1-883 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, განახლებული საკადასტრო კოდის (N01.13.03.023.095) დაფიქსირება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია.

ალექსანდრე ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)